

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-v
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-21

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის ii გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება “ბექდვითი სიტყვის კომბინატის“ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 1 ივლისს:

გენერალური დირექტორი ვასილ მენტეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი თამარ რობიჭაშვილი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის ii გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება "ბეჭდვითი სიტყვის კომპანია" ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება "ბეჭდვითი სიტყვის კომპანიის" (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 1 ივლისს:

გენერალური დირექტორი

ვასილ მენტეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ ხელმძღვანელობას და აქციონერებს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა *პირობითი მოსაზრების საფუძველის* აზრადში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ გაუშლია ინფორმაცია ფლობილი, თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებით შენიშვნებში, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ის მიხედვით. ვინაიდან ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფას-ების შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“-ის მოთხოვნის დარღვევას რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჩვენ ასევე ჩავატარეთ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რის საფუძველზეც გავეცით მოდიფიცირებული დასკვნა 2017 წლის 10 მაისს. ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წელს 18 აპრილს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ჩაატარა სხვა აუდიტორმა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

1 ივლისი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

1 ივლისი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia.



სს „ბექდევითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	4,748,606	4,056,855
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(992,107)	(684,813)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		3,756,499	3,372,042
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,799,648)	(1,431,927)
ფინანსური შემოსავალი	7	51,115	306,361
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	16	50,147	11,876
მოგება დაბეგვრამდე		2,058,113	2,188,015
მოგების გადასახადი		-	(328,202)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	8	-	36,675
წმინდა მოგება		2,058,113	1,966,825
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,058,113	1,966,825

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	4,748,606	4,056,855
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(992,107)	(684,813)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		3,756,499	3,372,042
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,799,648)	(1,431,927)
ფინანსური შემოსავალი	7	51,115	306,361
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	16	50,147	11,876
მოგება დაზღვევამდე		2,058,113	2,188,015
მოგების გადასახადი		-	(328,202)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	8	-	36,675
წმინდა მოგება		2,058,113	1,966,825
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,058,113	1,966,825

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი

სს „ბექდეთი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-დეკ- 2017	31-დეკ- 2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,737,186	944,480
არამატერიალური აქტივები		7,255	8,068
საინვესტიციო ქონება	10	11,262,640	11,343,303
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	103,272	487,426
ნედლეული და მასალები	12	274,172	190,175
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	6,832
მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	13	3,998,584	2,371,513
ფული და ფულის ექვივალენტები	14	313,789	403,830
სულ აქტივები		17,696,898	15,755,627
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	116,513	116,513
გამოსყიდული საკუთარი აქციები	15	(531,680)	(531,680)
გაუნაწილებელი მოგება		18,016,427	15,958,314
სულ კაპიტალი		17,601,260	15,543,147
ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		41,774	46,898
გადასახდელი ხელფასები		3,150	-
გადასახდელი გადასახადები		50,714	165,582
სულ ვალდებულებები		95,638	212,480
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,696,898	15,755,627

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენტეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ- 2017	31-დეკ- 2016
		ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,737,186	944,480
არამატერიალური აქტივები		7,255	8,068
საინვესტიციო ქონება	10	11,262,640	11,343,303
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	103,272	487,426
ნედლეული და მასალები	12	274,172	190,175
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	6,832
მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	13	3,998,584	2,371,513
ფული და ფულის ექვივალენტები	14	313,789	403,830
სულ აქტივები		17,696,898	15,755,627
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	116,513	116,513
გამოსყიდული საკუთარი აქციები	15	(531,680)	(531,680)
გაუნაწილებელი მოგება		18,016,427	15,958,314
სულ კაპიტალი		17,601,260	15,543,147
ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		41,774	46,898
გადასახდელი ხელფასები		3,150	-
გადასახდელი გადასახადები		50,714	165,582
სულ ვალდებულებები		95,638	212,480
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,696,898	15,755,627

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი



სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
 ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

		სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული საკუთარი აქციები	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	შენიშ ვნა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(125,785)	13,991,489	13,982,217
წმინდა მოგება		-	-	1,966,825	1,966,825
გამოსყიდული საკუთარი აქციები	15	-	(405,895)	-	(405,895)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(531,680)	15,958,314	15,543,147
წმინდა მოგება		-	-	2,058,113	2,058,113
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	2,058,113	2,058,113
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(531,680)	18,016,427	17,601,260

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენტეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

		სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული საკუთარი აქციები	გაუნაწილებ ლი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	შენიშ ვნა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(125,785)	13,991,489	13,982,217
წმინდა მოგება		-	-	1,966,825	1,966,825
გამოსყიდული საკუთარი აქციები	15	-	(405,895)	-	(405,895)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(531,680)	15,958,314	15,543,147
წმინდა მოგება		-	-	2,058,113	2,058,113
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	2,058,113	2,058,113
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		116,513	(531,680)	18,016,427	17,601,260

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი



სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		2,058,113	2,258,352
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	494,773	367,638
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	11	294,831	-
კურსთაშორის სხვაობა		37,276	(236,023)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	9	(43,045)	(8,947)
საპროცენტო შემოსავალი		(88,392)	(70,337)
ცვლილებები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	89,323	(72,689)
ცვლილებები მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	13	(1,575,714)	(1,219,233)
ცვლილებები ნედლეული და მასალები	12	(83,997)	(88,866)
ცვლილებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი		(5,123)	17,355
ცვლილებები გადასახდელი ხელფასები		3,150	(29,720)
ცვლილებები გადასახდელი გადასახადები		(108,036)	38,288
ცვლილებები გადავადებული მოგების გადასახადში		-	(56,792)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,073,159	899,026
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის შეძენა	9	(842,099)	(188,874)
საინვესტიციო ქონების შეძენა	10	(363,444)	(161,260)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		42,584	7,800
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,162,959)	(342,334)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	7	37,035	58,092
ცვლილებები გამოსყიდულ საკუთარ აქციებში		-	(405,895)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		37,035	(347,803)
ფული და ფულის ეკვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	14	403,830	194,942
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(52,765)	208,888
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(37,276)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	14	313,789	403,830

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენტეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგრამდე:		2,058,113	2,258,352
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	494,773	367,638
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	11	294,831	-
კურსთაშორის სხვაობა		37,276	(236,023)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	9	(43,045)	(8,947)
საპროცენტო შემოსავალი		(88,392)	(70,337)
ცვლილებები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	89,323	(72,689)
ცვლილებები მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	13	(1,575,714)	(1,219,233)
ცვლილებები წესდებული და მასალები	12	(83,997)	(88,866)
ცვლილებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		(5,123)	17,355
ცვლილებები გადასახდელი ხელფასები		3,150	(29,720)
ცვლილებები გადასახდელი გადასახადები		(108,036)	38,288
ცვლილებები გადავადებული მოგების გადასახადში		-	(56,792)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,073,159	899,026
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის შეძენა	9	(842,099)	(188,874)
საინვესტიციო ქონების შეძენა	10	(363,444)	(161,260)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		42,584	7,800
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,162,959)	(342,334)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	7	37,035	58,092
ცვლილებები გამოსყიდულ საკუთარ აქციებში		-	(405,895)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		37,035	(347,803)
ფული და ფულის ეკვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	14	403,830	194,942
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(52,765)	208,888
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(37,276)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	14	313,789	403,830

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 1 ივლისს.

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ რობიტაშვილი



განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1996 წლის 30 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი - 202886172, მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N5.

ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები.

პირები, რომლებიც აქციონერთა საერთო კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმათა 5%-ს ან მეტს:

ვასილ მენთეშვილი	58.3676%;
ალექსანდრე ანჯაფარიძე	6.0061%;
ნინო ჩანტლაძე	15.9755%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო ქონების გაქირავება, ხოლო დამხმარე საქმიანობას - პოლიგრაფიული მომსახურება.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი- 2.5922 ლარი (2016: 1 აშშ დოლარი - 2.6468 ლარი). 1 ევრო - 3.1044. ლარი (2016: 1 ევრო -2.7940 ლარი).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასის-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ფულს სალაროში,

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საბანკო ნაშთებს (მოთხოვნამდე და ვადიან ანაზრებს) და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	5% წრფივი
მანქანა-დანადგარები	8% წრფივი
სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები	20% წრფივი
საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	20% წრფივი
კომპიუტერული აღჭურვილობა	20% წრფივი
მიწა არ იცვითება	

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების გაწევის დროს. კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საინვესტიციო აქტივების იჯარიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორგანიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

3 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით Disclosure Initiative (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს-12 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მექანიზმით, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონები გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცემებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ შემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოცემებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქეთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოცემა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“(გამოცემა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის

მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფასკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). მენეჯმენტის მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და აპირებენ, რომ გამოიყენონ მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის მეთოდი და შედეგებს ასახავენ 2018 წლის 1 იანვრის საწყის დაგროვილ მოგებაზე, მას შემდეგ რაც სტანდარტი შევა ძალაში 2018 წლის 1 იანვარს. მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტი ჯერ კიდევ განსაზღვრავს ფასს 15 ის გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ არის მიზანშეწონილი განხილულ იქნას ფინანსური დაშვებების ეფექტი სანამ მენეჯმენტი არ განახორციელებს სრულყოფილ და დეტალურ მიმოხილვას.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპულზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4 შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	2017	2016
	ლარი	ლარი
საიჯარო შემოსავლები	4,039,863	3,582,460
შემოსავალი პოლიგრაფიიდან	378,103	203,933
სხვა შემოსავლები	330,640	270,462
სულ შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,748,606	4,056,855

5 გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება

	2017	2016
	ლარი	ლარი
საიჯარო შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები		
ცვეთის ხარჯი	(218,191)	(245,391)
შენობის დაცვის ხარჯები	(57,203)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5,096)	-
პოლიგრაფიიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯები		
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	(213,284)	(95,730)
პირდაპირი ხელფასი	(59,429)	(48,276)
ცვეთის ხარჯი	(97,682)	(15,746)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(22,652)	(9,696)
სხვა შემოსავლებთან დაკავშირებულ ხარჯები		
კომუნალური ხარჯები	(318,570)	(269,974)
სულ გაწეული მომსახურების / მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	(992,107)	(684,813)

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	(1,076,965)	(1,028,173)
უიმედო ვალების ჩამოწერა	(294,831)	-
ცვეთის ხარჯი	(178,900)	(106,501)
ქონების გადასახადის ხარჯი	(47,904)	(44,721)
კომუნალური მომსახურება	(14,393)	(22,021)
დაცვის ხარჯი	(19,068)	(76,271)
საკონსულტაციო ხარჯები	(13,577)	(5,085)
მივლინების ხარჯი	(11,147)	(21,011)
სხვა საერთო ხარჯები	(142,863)	(128,144)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,799,648)	(1,431,927)

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7 ფინანსური შემოსავალი

	2017	2016
	ლარი	ლარი
დადებითი საკურსო სხვაობები	212,626	300,440
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(249,903)	(64,416)
საპროცენტო შემოსავალი	88,392	70,337
სულ ფინანსური შემოსავალი	51,115	306,361

მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 37,035 ლარი.

8 გადავადებული მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპანიის ბალანსზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	შენობა-ნაგებობა	სპეციალური დანადგარები და ინსტრუმენტები	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული აღჭურვილობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	133, 479	743,740	202,299	283,419	94,193	180,619	1,637,749
შემენა	52,984	42,455	5,051	72,666	1,297	1,002	175,454
გასვლა	(2,014)	-	-	(4,642)	-	(1,144)	(7,800)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	184,449	786,195	207,350	351,443	95,490	180,476	1,805,403
შემენა	526,247	210,782	11,046	11,341	54,801	27,883	842,099
გასვლა	(11,213)	-	-	(142)	(24,187)	(4,608)	(40,150)
ტრანსფერი საინვესტიციო ქონებიდან	-	339,727	-	-	-	-	339,727
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	699,483	1,336,704	218,396	362,642	126,104	203,751	2,947,079
ცვეთა							
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(93,225)	(175,989)	(126,143)	(176,258)	(63,012)	(84,005)	(718,633)
ცვეთა წლის მანძილზე	(15,746)	(43,126)	(22,367)	(32,133)	(15,688)	(19,227)	(148,287)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	966	-	-	3,886	-	1,144	5,997
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(108,005)	(219,115)	(148,510)	(204,505)	(78,700)	(102,088)	(860,923)
ცვეთა წლის მანძილზე	(131,225)	(59,883)	(21,134)	(41,853)	(15,294)	(7,193)	(276,582)
გადმოსული ქონების ცვეთა	-	(112,539)	-	-	-	-	(112,539)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	11,213	-	-	142	24,187	4,608	40,150
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(226,745)	(392,809)	(169,644)	(246,216)	(69,807)	(104,673)	(1,209,894)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,254	567,750	76,156	107,161	31,182	96,614	919,116
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76,444	567,080	58,840	146,938	16,790	78,388	944,480
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	472,738	943,895	48,752	116,426	56,297	99,078	1,737,186

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მანქანა დანადგარების ცვეთა 97,682 ლარის ოდენობით შედის მიწოდებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულებაში (2016: 15,746 ლარი).

ცვეთა 178,900 ლარის ოდენობით შედის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებში (2016: 106,501 ლარი)

2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 43,045 ლარი.

10 საინვესტიციო ქონება

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016	31-დეკ-2015
	ლარი	ლარი	ლარი
მიწა	8,190,000	8,190,000	8,190,000
შენობები	4, 587 ,121	4,563,404	4,444,599
შენობების დაგროვილი ცვეთა	(1, 514, 481)	(1,410,101)	(1,191,867)
31 დეკემბრის მდგომარეობით	11, 262, 640	11,343,303	11,442,732

უმრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N5-ში. მიწის ფართობი შეადგენს 9,100.00 კვ.მ.-ს. ზედ მდებარე შენობა-ნაგებობები - 13,805 კვ.მ.-ს რომლიდანაც როგორც საინვესტიციო ქონება აღრიცხულია 12,231 კვ.მ ფართი ხოლო დანარჩენი როგორც ადმინისტრაციული მიზნებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები (იხ. შენიშვნა 9).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოხდა 339,727 ლარის თვითღირებულების გადატანა ძირითად საშუალებებში, რადგან კომპანიამ დაიწყო მისი გამოყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის. აღნიშნული ქონების დაგროვილმა ცვეთამ შეადგინა 112,539 ლარი.

ცვეთა 218,191 ლარის ოდენობით შედის მიწოდებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულებაში (2016: 223,025 ლარი).

11 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
საიჯარო მოთხოვნები	367,003	385,030
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	24,203	100,230
სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,897	2,166
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	(294,831)	-
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	103,272	487,426

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხის ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდში:

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
ანარიცხის ხარჯის ზრდა	294,831	-
ამოღება/ ჩამოწერა	-	-
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბრით	294.831	-

12 ნედლეული და მასალები

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
ნედლეული და მასალები	257,142	113,722
პოლიგრაფიული მასალები	12,976	50,245
პოლიგრაფიული წარმოების საამქრო	-	22,890
სხვა მასალები	4,054	3,318
სულ ნედლეული და მასალები	274,172	190,175

13 მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
ვადიანი ანაბარი	3,934,790	2,354,681
დარიცხული პროცენტი	63,794	16,832
სულ მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	3,998,584	2,371,513

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ვადიანი ანაბრის საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

კომპანიას 2017 წლის დასრულებული წლისთვის გახსნილი ჰქონდა 1 წლიანი ანაბრები ნომინალური საპროცენტო სარგებლით - 3-7%. დარიცხული და მიღებული შემსავების შესახებ იხილეთ მე-7 განმარტებითი შენიშვნა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა არსებითი განსხვავება ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული საღაროში	13,015	4,312
ლარი საბანკო ანგარიშებზე	287,252	170,334
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	13,522	229,184
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	313,789	403,830

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

15 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 155,350 ლარს (119,500 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1.3 ლარის ნომინალური ღირებულებით).

2015 წელს ცვლილების შედეგად გაუქმდა 2015 წლამდე გამოსყიდული საკუთარი აქციები, რომელთა ღირებულებაც შეადგენდა 38,837 ლარს (29,875 ჩვეულებრივი აქცია 1.3 ლარის ნომინალური ღირებულებით). ამ ცვლილების შედეგად 2015 წლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 116,513 ლარს (89,625 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1.3 ლარის ნომინალური ღირებულებით).

2015 წელს მოხდა საკუთარი 1,148 აქციის გამოსყიდვა ფიზიკური პირებისაგან. 2015 წელს გამოსყიდული საკუთარი აქციების ღირებულებამ შეადგინა 125,784 ლარი.

2016 წელსაც კომპანიამ ფიზიკური პირისაგან გამოისყიდა 2,825 ცალი აქცია, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 405,895 ლარი.

2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა აქციების შემცირება ან გაზრდა და დივიდენდის გაცემა კომპანიის მიერ.

16 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2017	2016
	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	43,045	8,947
სხვა შემოსავლები	7,102	2,929
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	50,147	11,876

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს მოთხოვნებს დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელს 0 ლარს (2016 წელს 435.50 ლარს). მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელს 0 ლარს, 2016 წელს 11,797 ლარს.

შრომის ანაზღაურება მოიცავს უმაღლესი მენეჯმენტის ხელფასებს 2017 წელს 658 569 ლარს (2016 წელს: 420,870 ლარს).

18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანიას ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიას საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიას შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
ფინანსური აქტივები	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	313,789	403,830
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,272	487,426
მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ	3,998,584	2,371,513
სულ ფინანსური აქტივები	4,415,645	3,262,769
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,774	46,898
გადასახდელი ხელფასები	3,150	-
სულ ფინანსური აქტივები	44,924	46,898

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

კომპანია პოლიტიკის მიხედვით ურთიერთობს გადახდისუნარიან კრედიტორებთან რის შედეგადაც ამცირებს კონტრაქტორის დეფოლტის რისკს რაც თავის მხრივ ამცირებს ფინანსური ზარალის მოხდენის ალბათობას.

ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურის შესაბამისად, რომ ჯგუფს არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ვინაიდან კომპანია თანამშრომლობს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებთან რეპორტის გამოშვების თარიღისათვის საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია:

	31-დეკ-2017	31-დეკ-2016
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,272	487,426
ფული და ფულის ექვივალენტები	300,774	403,830
მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ	3,998,584	2,371,513
სულ ფინანსური აქტივები	4,402,630	3,262,769

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,272	-	-	103,272
ფული და ფულის ექვივალენტები	313,789	-	-	313,789
მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ	3,998,584	-	-	3,998,584
სულ ფინანსური აქტივები	4,415,645	-	-	4,415,645
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,774	-	-	41,774
გადასახდელი ხელფასები	3,150	-	-	3,150
გადასახდელი გადასახადები	50,714	-	-	50,714
სულ ფინანსური ვალდებულებები	95,638	-	-	95,638
ლიკვიდურობის პოზიცია	4,320,007	-	-	4,320,007

სს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	487,426	-	-	487,426
ფული და ფულის ექვივალენტები	403,830	-	-	403,830
მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ	2,371,513	-	-	2,371,513
სულ ფინანსური აქტივები	3, 262, 769	-	-	3, 262, 769
ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელი ხელფასები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,898	-	-	46,898
გადასახდელი გადასახადები	165,582	-	-	165,582
სულ ფინანსური ვალდებულებები	212,480	-	-	212,480
ლიკვიდურობის პოზიცია	3,050,289	-	-	3,050,289

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდლები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	1,935	3, 237,829	-	3,239,764
ევრო	11,587	-	1, 397	12,984
2017 წლის 31 დეკემბრის	313,789	3,998,584	106,472	4,418,845

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	მოთხოვნები საბანკო დაწესებულებების მიმართ	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	228,988	2,371,513	36,758	2,637,259
ევრო	118	-	696	814
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	229,106	2,371,513	37,454	2,638,173

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს / გაზრდის 2017 წლის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 323,974 ლარით (2016: 263,726 ლარი).

19 პირობითი ვალდებულებები

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ფლობდა პირობით ვალდებულებებს.

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

21 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სადრიცხო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კონტრაგენტებისგან მომავალში მისაღები თანხების ალბათობის შეფასება არის იდენტიფიკატორი იმისა არის თუ არა მოთხოვნები გაუფასურებული. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მათი გამოვლენის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მოთხოვნისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პროცესის განხორციელება შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს გაუფასურების კოლექტიურად შეფასება. შედეგად, ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასებების ჩატარების მეთოდი საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდინოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშო თარიღისთვის.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა

3

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

4-5

ა)საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

6

განვითარების გეგმები

6

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

6

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

7

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

7

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

7

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი

7

განმარტებები

ბ)ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 29 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი





RSM Georgia

85, Z. Paliashvili str.
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელ აუდიტორის წერილი სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი“-ს მფლობელებსა და მენეჯმენტს

ბატონებო,

თქვენი 2018 წლის 29 სექტემბრით დათარიღებული მმართველობითი ანგარიშის, საპასუხოდ:

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, მოამზადა მმართველობითი ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჰყავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors





ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშს და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2018 წლის 1 ივლისს, გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

29 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

Rsm Georgia

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ დაფუძნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 25 ივლისის №04.16.54 დადგენილებით. პირველად რეგისტრირებულია ქ. თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1994 წლის 5 აგვისტოს №315 განკარგულებით, ხოლო შემდეგ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით – რეგისტრაციის №03/5-26 და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების საგადასახადო ინსპექციაში 2005 წლის 20 სექტემბერს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევასთან დაკავშირებით. უკანასკნელად სააქციო საზოგადოებამ რეგისტრაცია გაიარა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2016 წლის 25 თებერვალს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით.

სააქციო საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, 0102, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5/დ. უზნაძის ქ. №16-18.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა, აგრეთვე საიჯარო მომსახურება. საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებსა და ინტერესებს. საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

❖ განვითარების გეგმები

საზოგადოების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარ I და II ნაგებობებს გაუკეთდა დაშენება, რომელიც მნიშვნელოვანი კომერციული პროექტის განხორციელების საფუძველი გახდება და მომავალში იფუნქციონირებს თანამედროვე უმაღლესი სტანდარტების მქონე ობიექტი – სასტუმრო, რაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მოგების (შემოსავლის) წყარო იქნება.

❖ ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

საზოგადოებას ფილიალები არ გააჩნია.

❖ კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

უძრავი ქონების გაქირავების ბაზრის მუდმივი მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ მომსახურების ხარისხი, დამქირავებლები და რეპუტაცია.

გარკვეული პერიოდულობით ჩატარებული კვლევების ანალიზმა ცხადყო, რომ სულ უფრო და უფრო მოთხოვნილი ხდება საშუალო სეგმენტზე გათვლილი სასტუმროები. სწორედ ამან განაპირობა შიდა ეზოში განთავსებულ ნაგებობებში

სს „გეპლვითი სიტყვის კომპინატი“

სასტუმროს მოსაწყობად სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება.

საანგარიშო წლის განმავლობაში, მენეჯმენტმა დიდი ძალისხმევა და ფინანსები გამოუყო პოლიგრაფიული მიმართულების განვითარებას. კერძოდ: შეძენილია თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარები, დაინერგა ტამპონური ბეჭდვის ტექნოლოგია, რამაც გამოიწვია პოლიგრაფიული მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების გადამზადების აუცილებლობა.

❖ აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო შემოსავლები გასულ წელთან შედარებით 691 751 ლარით გაიზარდა და 4 748 606 ლარი შეადგინა. წმინდა მოგება 2058113 ლარის ტოლია, შემოსავალი 1 აქციაზე 23 ლარია. გრძელვადიანი აქტივები გაზრდილია 711.230 ლარით სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების კაპიტალიზაციის ხარჯზე.

❖ ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოებას არ აქვს შეძენილი საკუთარი აქციები.

❖ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოება თავის საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი პერიოდის განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები შეფასებული უცხოური ვალუტით აღრიცხვაში აღიარებულია ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობა მოგება-ზარალის ანგარიშს მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როცა ის წარმოიშვა.

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურებებისათვის მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებას მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როდესაც მოხდა გამომუშავება, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა.

ფინანსური ოპერაციები მოიცავს მოთხოვნამდე ანაბარზე ღარიცხულ

სს „გეჭვოთი სიტყვის კომპინატი“

პროცენტებს და საბანკო გარანტიებზე დარიცხულ და გადახდილ პროცენტებს. უცხოურ ვალუტაში შეფასებული ფულადი მუხლების გადაფასება წარმოებს საბოლოო კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული ფინანსური შედეგები ანგარიშგებაში ასახულია ნეტო თანხით.

ძირითადი საშუალებები მოიცავს: მიწას, შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებს, რომლითაც ხორციელდება საწარმოს საოპერაციო საქმიანობა, ასევე საოფისე აღჭურვილობის ავეჯს და სხვა ინვენტარს.

ძირითადი საშუალებები აღიარებულია შეძენის ღირებულებისა და დაგროვილ ამორტიზაციის შორის სხვაობით.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ ექსპლუატაციაში შესვლის თარიღით, პირდაპირი მეთოდით დადგენილი ნორმების მიხედვით:

- შენობა-ნაგებობები – 15-20 წელი
- მანქანა-დანადგარები – 4-5 წელი
- ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი – 4-5 წელი
- არამატერიალური აქტივები – 10 წელი

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვასა და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება, მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებს.

დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციაზე, განახლებაზე და გადაიარაღებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა წარმოებს უწყვეტი მეთოდით, საღდირებული წესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მომსახურების თვითღირებულების ხარჯებს მიკუთვნებული აქვს პირდაპირი ხარჯები (მასალები და ხელფასი) და საწარმოო-საექსპლუატაციო ხარჯები. ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისობის პრინციპის მიხედვით.

დებიტორული დავალიანებები აღიარებულია ნომინალური ღირებულებით საეჭვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს: ნაღდ ეროვნულ ვალუტას საღაროში და ფულად საშუალებებს საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ასევე ვადიან დეპოზიტებსაც.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომპანია“

საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიას შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ აქვს რისკების საერთო მართვის თაობაზე წინანსწარ დადგენილი პოლიტიკა.